ერი, რომელიც იბრძვის თავისუფლებისათვის – მოიპოვებს თავისუფლებას!

# მეტეხი

№ 1

საქართველოს დემოკრატიული პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის არაპერიოდული გამოცემა

12 ნოემბერი



ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამემამულენო!

წინამდებარე გაზეთი – "მეტეხის" პირველი ნომერი დასაბამს აძლევს ახალ არაპერიოდულ გამოცემას. მისი გამომცემელია საქართველოს დემოკრატიული პარტია, თბილისის კომიტეტი.

დღევანდელ პირობებში, როდესაც ძალზე აიწია მართალი სიტყვის წონამ, დიდი მნიშვნელობა აქვს ობიექტურ და გაუყალბებელ ინფორმაციას, სწორედ ამ მიზნებს მოემსახურება გაზეთი "მეტეხი".

გაზეთი "მეტეხი" არ იქნება კონიუნქტურული გამოცემა, იგი დაეყრდნობა ჭეშმარიტი რწმენის ისეთ გაუხუნარ პრინციპებს როგორიცაა:

ა) ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები;

ბ) ეროვნული და ისტორიული სამართლიანობის [illegible];

გ) სულიერი კულტურის პროპაგანდა მის მრავალფეროვნებაში;

დ) დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემების განხილვა;

ე) ეკონომიკური მდგომარეობის მიმოხილვა;

ვ) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მდგომარეობა გუშინ და დღეს და სხვა მრავალი.

ჩვენ ცალკე რუბრიკად გამოვყოფთ მკითხველების წერილებზე აგებულ ინფორმაციას, რასაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. იმედი გვაქვს, რომ ყველა დაინტერესებული მკითხველი თავის წვლილს შეიტანს გაზეთის ფუნქციონირების საქმეში. გაზეთის მიზანია არა მხოლოდ ჩვენი პარტიული პოზიციის წარმოება, არამედ მკითხველთა ნააზრევისა და შთაბეჭდილებების გაშუქებაც. ჩვენი მიზანია დავამყაროთ უშუალო კონტაქტი მკითხველსა და გაზეთს შორის.

ველით თქვენს წერილებს, რჩევებს, კრიტიკას.

✝

## მერაბ კოსტავას მოსაგონარი

ეროვნულმა მოძრაობამ საქართველოში დიდი დანაკლისი განიცადა – უდროოდ და ტრაგიკულად შეწყდა დიდი მამულიშვილის,– მერაბ კოსტავას სიცოცხლე. ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ, იგი მისთვის ჩვეული ადამიანური სითბოთი, უსაზღვრო პატრიოტიზმითა და მომავლისადმი რწმენით მოგვიწოდებდა ახალი მიჯნების დასაპყრობად, მაგრამ ვაგლახ, რომ მუხთალია წუთისოფელი და შეუცნობადია მისი ასავალ-დასავალი!

ტრაგიკული ბედის ადამიანი იყო მერაბ კოსტავა. ზუსტად ისეთივე, როგორც მისი სიკვდილი. რა არ იწვნია ცხოვრების მოკლე გზაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი დარჩა ისეთივე გულძილი და კეთილშობილი რაინდი, როგორადაც გამოირჩეოდა ყოველთვის. ამისთვის და არა მარტო ამ თვისებებისათვის შეიყვარა იგი ქართველმა ერმა და სამართლიანადაც აკურთხა ეროვნულ გმირად – საქართველოს ეროვნული გმირების სიას შეემატა კიდევ ერთი ნამუსიანი და ბოლომდე გახარჯული კაცის სახელი.

ქართველი ხალხის ნებამ ისურვა, მერაბ კოსტავას ცხედარი მთაწმინდის სავანეში განსვენებულიყო, საქართველოს საამაყო შვილების გვერდით. მისი სახელი უკვდავია და კვლავაც წინ გაგვიძღვება ახალი მიჯნების დასაპყრობად!

მსუბუქი იყოს მთაწმინდის მიწა თქვენთვის, მარად უკვდავო ბატონო მერაბ!

ქვემოთ მოყვანილია რუსული ემიგრაციული ორგანიზაციის-სახალხო შრომითი კავშირის საბჭოს განცხადება თბილისში 9 აპრილს მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით:

### ЗАЯВЛЕНИЕ Совета НТС

### По поводу событий в г.Тбилиси

В воскресенье, 9 апреля 1989 года в Тбилиси войска МВД при поддержке воздушно-десантных войск, учинили кровавую расправу с мирной демонстрацией людей. Их теснили бронетранспортерами, забрасывали газовыми гранатами, рубили саперными лопатками, избивали дубинками. Даже по официальным данным убито 20 человек, из них 17 женщин от 70-летних старух до 16-летних девочек! В официальные данные не входят убитые патрулями на улицах после введения-фактически без предупреждения комендантского часа, а также тяжелораненные и отравленные газом еще находящиеся в больницах.

Наиболее правдиво описали эту кровавую расправу газеты "Неделя"(№ 16,1989г.) и "Московские новости"(23.4.1989). Большинство советских органов печать и телевидения замалчивают и искажают факты. Эту же тактику власть применяла и во время событий в Армении и после чернобыльской катастрофы. Вместо"гласности"-трусливая ложь. Цинизм дошел до того,что виновников ищут уже среди "грузинских экстремистов" или подростков, которые-де "лупцевали стальными прутьями броню боевых машин("Советская Россия" 23.4.1989).

Кто же виновник?

Объявить себя военным комендантом Тбилиси, ввести в город войска и выделить воздушно-десантную часть для поддрежки карательных действий войск МВД. Генерал-полковник И.Н. Родионов самовольно,без решения министра обороны Язова не мог.

Перебросить из под Москвы карательные части из дивизии им. Дзержинского командующий внутренними войсками МВД генерал-майор ВВ Ю.Ефимов самовольно без разрешения министра внутренних дел СССР Бакатина, тоже не мог.

И. Язов и Бакатин подчиняются Горбачеву М.С сосредоточившему в своих руках высшую власть в стране, включая возглавление Совета обороны, в ведении которого находятся все вооруженные силы страны. Даже если они действовали без его ведома, Горбачев несет ответственность за кровавое Тбилисское воскресенье. Эта ответственность обязывает его пресечь дезинформацию,провести открытое расследование,которое выявило бы виновных,особенно тех,кто ответственен за втягивание армии в эти карательные действия. Виновных,вне зависимости от занимаемых ими должностей.

Народно-Трудовой Союз российских солидаристов выражает своё сочуствие родственникам и друзьям погибших, всему грузинскому народу.

Требование демонстрантов признать,что Грузия в 1921 году была оккупирована красной армией и насильственно подчинена коммунистической власти исторически справедливо.Но нельзя забывать,что в состав Российской империи Грузия вошла добровольно в 1801году, ища защиты от турок и что отношения между русскими и грузинами всегда были дружественными.Надеемся,что грузинский народ понимает:кровавае побоище в Тбилиси учинено коммунистической властью,а не русским народом. Чувства русского народа были выражены демонстрацией,организованной в Москве 23 апреля с.г. Демократическим союзом.

Вопрос о выходе Грузии из состава Советского союза может быть решен только демократическим путем, свободным волеизъявлением ее народа. Пока существует тоталитарный режим - это невозможно. Поэтому восстановление у нас правового строя и осуществление демократии - общая задача всех народов страны. НТС призывает к сотрудничеству все национальные силы, считающие свободное волеизъявление народа единственно-правильным путем для решения межнациональных конфликтов. НТС призывает народы нашей страны к общей борьбе за свободу.

Апрель 1989 года

Совет Народно-Трудового союза российских солидаристов.

ჩვენ არ ვეთანხმებით განცხადების იმ ნაწილს სადაც ნათქვამია ,რომ 1801 წელს საქართველო ნებაყოფილებით შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.1801 წლის 12სექტემბრის მანიფესტი,რომელიც საიდუმლოდ შეიმუშავა რუსეთის მეფემ ალექსანდრემ იყო აშკარა დარღვევა 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული პირობებისა და ამას პასუხად მოჰყვა ქართველი ელჩების ჭავჭავაძის,ავალიშვილის და ფალავანდიშვილის პროტესტი,რომელიც მათ გაუგზავნეს ვიცე-კანცლერ კურაკინს.

ქართველი ხალხი არასოდეს შერიგებია კოლონიურ ჩაგვრას.ამის მაგალითებია–1804,1812 1819–20 წლების აჯანყებები,1832 წლის შეთქმულება,დიმტრი ყიფიანის მოწამეობრივი სიკვდილი და სხვა ფაქტები.

სხვა მხრივ განცხადება მისასალმებელია და ამიტომ მას ვბეჭდავთ შეუმოკლებლად./სტატია გადმობეჭდილია ყოველთვიური ემიგრაციული ჟურნალიდან"პოსევ" 1989 წ.ივნისი №6/

აქვე გვინდა ავღნიშნოთ,რომ ცარიზმის პერიოდშიც საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ძალებს მეგობრული ურთიერთობა ქონდათ იმ დროინდელ რუს მოღვაწეებთან,რომლებიც რუსეთის დემოკრატიზაციისათვის იბრძოდნენ,მათ შორის დეკაბრისტებთან,კერძოდ სუხორუკოვთან,პესტელთან და სხვებთან.ზ.ჩოლოყაშვილის სიტყვებით:"...პესტელი ურჩევდა რომ აუცილებლად პოლონეთი,საქართველო და სხვა ჩაგრული ოლქები დაუბრუნდნენ თავიანთ მფლობელებს და ძირითადი ოლქები რომელნიც მოსკოვის გარშემოა დარჩეს რუსეთს."

## ერთი და იმავე მეთოდით

უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მარია კოსტენეცკაიამ საპროტესტო წერილი გაუგზავნა მ.გორბაჩოვს,რომელშიც ესტონეთის ინტერფრონტის ლიდერის– ევგენი კოგანის გამოსვლა ტელევიზიაში შეფასებული იყო როგორც პროვოკაცია.

კოგანი თავის გამოსვლაში ამტკიცებდა თითქოს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში მზადდებაჭარამკვიდრი მოსახლეობის მასობრივი დეპორტაცია.მარია კოსტენეცკაია თავის საპროტესტო მიმართვაში აცხადებდა,რომ ეს არის მცდელობა მდგომარეობის გამწვავებისა.

ეს ფაქტი ძალაუნებურად გვახსენებს საინფორმაციო პროგრამა "ვრემიას" გადაცემას

9 აპრილის შემდგომ დღეებში, სადაც "ვრემია"-ს კომენტატორი "შეშფოთებული" აცხადებდა, რომ თბილისში გახშირდა თავდასხმები სამხედრო მოსამსახურეებზე და მათი ოჯახის წევრებზე. არ არის გამორიცხული, რომ ეს გადაცემა გახდა ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანი, რამაც გამოიწვია ქართველი ჯარისკაცების მკვლელობისა და წამების ფაქტების გახშირება სამხედრო სამსახურის გავლის დროს.

რაც შეეხება პროვოკატორ კოგანს-მის მიმართ მოსკოვის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებრივობის დამოკიდებულება კარგად გამოჩნდა 18 ივლისს ლუჟნიკებში გამართულ ორი ათას კაციან მიტინგზე, სადაც მის გამოსვლას სტვენითა და დაცინვით შეხვდნენ. ამავე მიტინგზე გამოითქვა აზრი, რომ სკკპ-სათვის საუკეთესო "პერესტროიკა" იქნება მისი თვითდაშლა და სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ერთად თანაბარი უფლებებით ქვეყნის ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ მოსკოვი ყველგან ერთსა და იმავე ხერხს მიმართავს -დააშინოს ამა თუ იმ "აქტიური" მოკავშირე რესპუბლიკის ეროვნული უმცირესობები იმით, თითქოს ეროვნული მოძრაობის გამარჯვების შემთხვევაში მათ აუცილებლად ელით შევიწროება, გასახლება, ან სხვა რაიმე მსგავსი საფრთხე.

რა თქმა უნდა, კრემლი ყოველთვის ეცდება გაატაროს თავისი პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ერთვნებათაშორისი შუღლის გაღვივებისაკენ, მაგრამ მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ჩვენის მხრივ არ დავასხათ წყალი პროვოკატორების წისქვილზე და ყოველნაირად ხელი შევუშალოთ საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებში შიშის, უნდობლობისა და ეჭვის დათესვას.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ აფხაზეთსა და ოსეთში ანტიქართული განწყობილების დანერგვას ხელს უწყობენ პირველ რიგში ადგილობრივი პარტიული მუშაკები, მაღალი თანამდებობის პირები ე.წ. კომ.პარტიის ნომენკლატურა,

რომლებსაც თავისი ერის სიყვარული კი არ ამოძრავებთ, არამედ მოსკოვიდან მქროლავი სუსხიანი სიო, რომელიც ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგაა მიმართული. ხვალ საჭირო რომ გახდეს, ეს კომუნისტები, ისევე როგორც ყველა სხვა ერთვნების კომუნისტები-საკუთარ ხალხს ფეხქვეშ გაიგებენ კომ.პარტიისავე სახელით.

ეროვნებათაშორისი პრობლემები, რომლებიც შექმნილია აფხაზეთში, ოსეთში თუ საქართველოს სხვა რეგიონებში, ყოველთვის იარსებებს სანამ საქართველო კომუნისტური იმპერიის უღელქვეშ იმყოფება და არა აქვს იმის საშუალება, რომ თვითონ დაარეგულიროს დამოკიდებულება საქართველოში მცხოვრები ეროვნებების მიმართ. საქართველოში მცხოვრები არაქართველები კი არ არიან ჩვენი და მათივე უბედურების მიზეზნი, არამედ ჩვენი კოლონიური, მონური მდგომარეობა სწორედ ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევისათვის უნდა წარვმართოთ მთელი ჩვენი ენერგია. ყოველგვარ მცდელობას ქართველების ეთნოკონფლიქტში ჩათრევისა ჩვენ უნდა ვუპასუხოთ მძლავრი განმათავისუფლებელი მოძრაობით და ამისაყოველთვის მზად უნდა ვიყოთ ქართველებიც და არაქართველებიც ვისთ ვისთვისაც თავისუფლება მხოლოდ ცარიელი სიტყვა არ არის. ყარაბაღის კონფლიქტმა შეუძლებელი გახადა ამ ეტაპზე ერთიანი კავკასიური ფრონტით კრემლის წინააღმდეგ გალაშქრება, მაგრამ თუ მსგავსი რამ მოხდება მრავალეროვან საქართველოში, სადაც ერთმანეთშია გადახლართული ქართველების, ოსების, სომხების, აფხაზებისა და აზერბაიჯანელების ინტერესები, შეიძლება ითქვას, რომ კავკასიის რეგიონში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ათწლეულობით დამუხრუჭდება.

ვასო ჭყონიძე

# 29 ოქტომბრის ექო

დიახ მოხდა ის, რაც ხალხის სურვილი და ნება იყო, რაც საქართველოს სჭირდებოდა. საერთო-სახალხო მანიფესტაციის დროს გაერთიანდა ქართველობა, გაერთიანდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში მყოფი ყველა ორგანიზაცია-გაიმარჯვა ქართული სულმა!

სასწაული არ მომხდარა, ასე უნდა ყოფილიყო და ასეც მოხდა, რადგან სამშობლო გასაჭირშია და შველა უნდა. ათასობით ადამიანი გახდა მოწმე სამშობლოსათვის მიცემული უსიტყვო ფიცისა, იყო მოწმე დიდი ილიას და აკაკის სჩრდილები. გაიხარა ქართველობამ, რამეთუ იცის მან რა არის ერთობა, იცის რომ ქართველთა ერთიანობა ეს უკვე გამარჯვებაა. -კმარა რაც "კახელების ალმა ხნული ქართლელებმა თალმა ფარცხეს"

ძალა ერთობაშია იციან ქართველებმა-ისიც იციან რა მავნებელ ძალებთან ექნებაა ჭიდილი, ძალასთან რომელსაც თავისი არსებობის მანძილზე მრავალი ერი მიუყვანია დაღუპვის პირას, რომელსაც კაცობრიობის მრავალი კულტურული მონაპოვარი გაუყალბებია და გადაუყვანია თავის სატანურ იდეოლოგიაზე.

არა, ქართველი კაცი ამას არასოდეს შერიგებია და არც შეურიგდება მისთვის საძულველ და უცხო მოვლენას. ისევ საკუთარმა შვილებმა ოცდაათ ვერცხლად გაყიდეს დედა-სამშობლო, გაყიდეს საინგილო, გაყიდეს ქართული ქრისტიანული ეკლესია, გაყიდეს ქართული სული-ყველაფერი რისი გაყიდვაც კი შე იძლებოდა. არც აპატიეს ამ იუდას მიმდევრებს და მათი სახელი დღესაც და მომავალშიც წყევლით მოიხსენიება.

დღეს კი დროა სრულიად საქართველომ ერთი აზრი მოიკრიბოს და ერთი დროშის ქვეშ გაერთიანდეს

დროა თორემ განუსაზღვრელი უბედურების წინაშე ვდგავართ. ქართული სული თავისას მოითხოვს, რადგან ის თავისუფლებისათვის არის დაბადებული და მონობაში არ შეუძლია ყოფნა, დრო აღარ ითმენს, დაიზარდნენ ალგეთს ლეკვები მგლისანი. მეფე ბაგრატიონული საბრძოლო ცხენი ლაგამს კვნეტავს, საომარ ჭიხვინს ველარ იკავებს ბორგავს და ყალყზე დგება. ქართული მეომრული, ბრძოლებში გამოჭედილი გენი თავისას მოითხოვს. ვიხსნათ ენა, მამული, სარწმუნოება და მიწა წილხვედრი წმინდა მარიამისა.

ტარიელ ტარიელაშვილი

# პოლიტიკური პლურალიზმისაკენ

კაცობრიობის ისტორიული გამოცდილება ადასტურებს სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ფუნქციონირების ორი ძირითადი მოდელის არსებობას. ესენია: - დიქტატორული /მისი ავტორიტარული და ტოტალიტარული სახესხვაობებით/ და დემოკრატიული /ნაწილობრივ შეზღუდული ან სრული სამართლებრივი მექანიზმით/ მოდელები. არცერთი დღემდე არსებული სახელმწიფო ნებაყოფლობით არ ირჩევდა მართვის მოდელს. საერთო ჯამში, ისტორიული არჩევანი დამოკიდებული იყო "ქვემოდან" /ხალხის ნიადაგან/ შექმნილ და ფაქტიურად არსებულ დემოკრატიულ სტრუქტურებზე და მათ გაჯერებულ მდგომარეობაზე ქვეყნის სოციალურ და სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში, რასაც თავის მხრივ, ჩვენის აზრით, განაპირობებდა მოსახლეობის კულტურული და მსოფლმხედველობრივი ჩენობე და თავისუფლად ფუნქციონირებადი ეკონომიკის საბაზისო დონე.

დღევანდელი საქართველო დგას ისტორიულ მიჯნასთან. მისი სურვილია ახალი დემოკრატიული საქართველოს შექმნა, რაც, ჩვენი აზრით, გარკვეული ისტორიული პერიოდის ამოცანაა. გვწამს, რომ შეუძლებელია სამართლებრივი საქართველოს შექმნა მხოლოდმხოლოდ დემოკრატიული მიზნობრივი ღირებულებების დეკლარაციით. მაგრამ იმავე დროს მიგვაჩნია, რომ საჭიროა უკვე დღევანდელ პირობებში გარკვეული ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით.

სრულ სამართლებრივ მექანიზმზე დაფუძნებული დემოკრატია, - შეუძლებელია მრავალპარტიული პოლიტიკური სტრუქტურის გარეშე. გვინდა ჩვენ თუ არა, საზოგადოება ყოველთვის იქნება დიფერენცირებული ცალკეული სოციალური თუ ეროვნული ასოციაციების მიხედვით, რაც განპირობებულია მათი სასიცოცხლო ინტერესების სხვადასხვაობით. ამიტომ, ბუნებრივია პოლიტიკური პლურალიზმის არსებობა და ჭეშმარიტი პარლამენტის, როგორც პოლიტიკური კონსენსუსის გამომუშავების ორგანოს ფუნქციონირების აუცილებლობა.

რას ვხედავთ ჩვენ დღევანდელ დღეს რეალურ პირობებში?! ესაა: - პოლიტიკური პლურალიზმის ძალისმიერი დებლოკირება და ჭეშმარიტი პარლამენტის უქონლობა. დღევანდელი პირობებისათვის დამახასიათებელია პიროვნული პლურალიზმის "ბატონობა" პოლიტიკურ პლურალიზმზე. არსებული მდგომარეობა დემოკრატიის ანარქისტული ფორმის ჩასახვისა და ფუნქციონირების მაჩვენებელია, რაც წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ყველა ჯანსაღი ძალების კონსოლიდაციის წინააღმდეგ და მათი გათიშვისათვის და საბოლოო ჯამში ხელს უწყობდეს დიქტატორული მონოპარტიული ამბიციების გაღვივებას.

პიროვნული პლურალიზმი იმის საფუძველიცაა, რომ ადამიანები გამოდიან მოედნებზე და ქუჩებში და ქმნიან იმ გარკვეული სახის ოხლოკრატიულ დაძაბულობას, რაც მიმდინარეობს პოლიტიკური დესტაბილიზაციის ფონზე. პოლიტიკურ პლურალიზმს გადაყავს ეს პროცესი დემოკრატიულად მშვიდობიან არხში და პარლამენტური მექანიზმის საშუალებით უმტკივნეულოდ და მწყობრად ახორციელებს დაპირისპირებული ინტერესების შეჯერებას.

პიროვნული პლურალიზმი ყოველთვის არაა გათვითცნობიერებული დემოკრატიული ღირებულებების შესაბამისად. ამიტომ საჭიროა ისეთი პროცესების "ჩართვა", რომლებიც შექმნიან და დაამკვიდრებენ მასობრივი დემოკრატიული აზროვნების პირობებს. ჭეშმარიტი, დემოკრატიული სახელმწიფოებრივი მექანიზმის განხორციელება შეუძლებელია თვითოეული ჩვენთაგანის მაღალი [illegible]რი გათვითცნობიერებისა და სოციალური აქტივობის გარეშე. დღესდღეობით ამ თვისებების დეფიციტი არადემოკრატიულობის წისქვილზე ასხამს წყალს, რაც დამატებით სირთულეებს გვიქმნის ნაციონალური და სოციალური პროგრესის გზაზე. საზოგადოების არადემოკრატიულობის ერთ-ერთი მაჩვენებელია, - საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების შესაძლებლობა. ამის ისტორიული მაგალითები მრავლად შეიძლება ვნახოთ უახლოეს ისტორიაში. მანიპულირებას წარმატებით ახორციელებდნენ და ახორციელებენ ბოლშევიკები, ნაციონალ-სოციალისტები, მუსულმანური ფუნდამენტალისტები და სხვანი.

აღნიშნულ შემთხვევებში მანიპულატორები კარგად თამაშობდნენ მოსახლეობის ნაციონალურ, სოციალურ თუ რელიგიურ გრძნობებზე, ხელმარჯვედ იყენებდნენ ემოციურ ეფექტებს, იქვემდებარებდნენ ხალხის ფსიქოლოგიას და ცნობიერებას და მათთვის საჭირო მიმართულებით წარმართავდნენ მოსახლეობის პოლიტიკურ აზროვნებასა და ნებას.

ეს რომ არ მოხდეს, მომავალი დემოკრატიული საქართველოს აშენებისათვის უკვე დღესვეა საჭირო გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები მაღალი პოლიტიკური და დემოკრატიული ცნობიერების დასამკვიდრებლად და გასანვითარებლად და მანიპულირების შესაძლებლობათა აღმოსაფხვრელად. საზოგადოებრივი აზრის მანიპულაცია უნდა შეიცვალოს მისი ჭეშმარიტი წარმართვით დემოკრატიულ ფასეულობათა ფარვატერში.

დროა გადავიდეთ პიროვნული პლურალიზმიდან პოლიტიკურ პლურალიზმზე! ამისათვის კი საჭიროა ცალკეულ პიროვნებათა ბუნებრივი დიფერენციაცია სოციალურ და ეროვნულ ასოციაციებში, მათი სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად.

აღნიშნული პროცესი ახლო მომავალში შექმნის ჭეშმარიტი მრავალპარტიული პოლიტიკური სტრუქტურის წარმოქმნის რეალურ საფუძველსაც, რაც დროთა განმავლობაში მიგვიყვანს სრულ სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფო სტრუქტურამდე.

თემურ მნათელი

# უცხოეთის ამბები

ვარშავაში დასავლეთ გერმანიის საელჩოს თავი შეაფარა გდრ-ის 700-მდე მოქალაქემ, ხოლო პრაღაში გფრ-ის წარმომადგენლობაში 30-მდე მოქალაქემ მათ უარი განაცხადეს სამშობლოში დაბრუნებაზე. აქამდე გდრ-ის მოქალაქეები სარგებლობდნენ უნგრეთისა და ავსტრიის ღია საზღვრებით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. საერთო ჯამში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა-უფრო სწორად საბჭოთა საოკუპაციო ზონა დატოვა 45 000-მდე ლტოლვილმა. ამასთან გდრ-ის მილიონ ნახევრამდე მოქალაქეს დაწერილი აქვს განცხადება რომელშიც მოითხოვენ რესპუბლიკიდან იმიგრაციის უფლებას.

პარიზში შეიქმნა ოპოზიციური ორგანიზაცია "ჩინეთში დემოკრატიზაციის ხელშემწყობი ფედერაცია" რომელმაც გააერთიანა სისხლიანი ანგარიშსწორების შემდგომ ჩინეთიდან ლტოლვილი დისიდენტები, აგრეთვე ჰონკონგისა და ტაივანის წარმომადგენლები. ახლად შექმნილი ორგანიზაციის მიზანია: ჩინეთში დემოკრატიის დანერგვა, ჰონკონგისათვის/ჩინეთთან შეერთების შემდეგ/, ტაივანისათვის, ტიბეტისათვის ფედერაციული რესპუბლიკების სტატუსის მინიჭება. ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა ჟან ჟიაკმა განაცხადა: "დადგება დრო, როდესაც პეკინის რეჟიმი, ისევე როგორც იერუზელსკი პოლონეთში, იძულებული გახდება სცნოს ჩვენი ემიგრაციული ორგანიზაცია."

ნომერი მოამზადეს: ვასო ჭყონიძემ, ტარიელ ტარიელაშვილმა, თემურ მნათელმა, მაყვალა ჩახვაშვილმა.

ტელეფონები 39-65-77 მაყვალა ჩახვაშვილი

36-71-87 ვახტანგ [illegible]

მოგვწერეთ : თბილისი - 35. ვაჟა ფშაველას 3 კვ. 3 კორპ. [illegible] 41 . [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა